

ქირითაღი თემატი
HEADLINES

IIA
GEORGIA

კვირის ღაიჯასტი
WEEKLY DIGEST

No 3.11.2014 247

პრემიერ-მინისტრმა საერთა-
შორისო საინვესტიციო ფორ-
უმში გახსნა

პრემიერ-მინისტრმა
საერთაშორისო საინვესტიციო
ფორუმში გახსნა

Prime Minister Opened Int
ernational Investment
Forum

Prime Minister Opened Int erna-
tional Investment Forum

შეხვედრა ADB-ის ვიცე-პრე-
ზიდენტთან

Meeting with the ADB Vice-Presi-
dent

საქართველოდან ჩინეთში
ექსპორტი 68%-ით გაიზარდა

Export from Georgia to China
Grew by 68%

აჭარის ტურიზმის დეპარ-
ტამენტი ტურისტული სააგენ-
ტოების აკრედიტაციის შე-
ნობების ინიციატივით გამო-
დის

Tourism Department of Ajara
Proposes to Introduce Accredita-
tion System for Tour Operators

თურქი ბიზნესმენები საქარ-
თველოს საინვესტიციო პო-
ტენციალს გაეცნენ

Turkish businessmen were getting
acquainted with investment poten-
tial of Georgia

საქველმოქმედო აქცია- “სა-
ერთაშორისო ინვესტორთა
ასოციაცია” 10-წევრიან ოჯ-
ახს დაეხმარა

Charity action- “International In-
vestors Association” helped 10-
member family



საქართველო - რეგიონალური ცენტრი და კარიბჭე აზიასა და ევროპას შორის” - თბილისში საერთაშორისო საინვესტიციო ფორუმს უმასპინძლა. 100-ზე მეტი მაღალი რანგის სტუმარი სხვადასხვა ქვეყნიდან, საქართველოს საინვესტიციო შესაძლებლობებს გაეცნო. გლობალური ბიზნესის, ფინანსებისა და პოლიტიკის სფეროების ლიდერებს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მიმართა. ირაკლი ღარიბაშვილმა საქართველოს სტრატეგიულ მდებარეობაზე ისაუბრა და იმ მიღწევებზე გაამახვილა ყურადღება, რომელიც ქვეყანას ჯანდაცვის, განათლების, პოლიტიკური სტაბილურობის, ეროვნული უსაფრთხოებისა და ეკონომიკის განვითარების მიმართულებით აქვს. ევროკავშირსა და ნატოსთან კავშირების გაღრმავება პრემიერმა საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებად დაასახელა. „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო ზონა მნიშვნელოვნად ზრდის ჩვენს ქვეყანაში ინვესტიციების განხორციელების მიზიდველობას და ქმნის ახალ საინვესტიციო შესაძლებლობებს. წინასწარი პროგნოზით, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო ზონა გაზრდის საქართველოს ექსპორტის მოცულობას 12.4%-ით, ხოლო იმპორტს - 7.5%-ით, რაც, ამავე დროს, ნიშნავს სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესებას. 2014 წლის ექვს თვეში საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო ბრუნვა გაიზარდა 15%-ით, 2013 წლის ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით. ამასთან, დაფიქსირდა ექსპორ-

Tbilisi hosted International Investment Forum - “Georgia - Regional Hub and Asia’s Gateway to Europe”. More than 100 high-ranking official guests from different countries are familiarized with investment opportunities of Georgia. The leaders of global business finance and political spheres were addressed by the Prime Minister of Georgia. Irakli Garibashvili spoke about strategic location of Georgia and stressed the achievements that the country has in the areas of healthcare, education, political stability, national security and economic development. Deepening ties with EU and NATO was named by the Prime Minister as foreign policy priorities for Georgia. “DCF-TA significantly increases the investment attractiveness of our Country and creates new investment opportunities. Pre-estimates indicate that the DCFTA will increase Georgia’s exports by 12.4% and imports by 7.5%, implying at the same time an improvement of trade balance. In the first six months of 2014, Georgia’s trade turnover with the EU grew 15% year-to-year, with an amazing 41% year-to-year increase in exports and 9% increase in imports in comparison with the 2013 data. This was without the DCFTA being in force,” - stated Irakli Garibashvili. According to the statement of the Head

ტის (41%) და იმპორტის (9%) არნახული ზრდა 2013 წლის ანალოგიურ მანქვებლებთან შედარებით და ეს მაშინ, როდესაც ღრმა და ყოველმომცველი თავისუფალი სავაჭრო ზონა ჯერ კიდევ არ ამოქმედებულა”, - აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა. მთავრობის მეთაურის განცხადებით, საქართველოს აქვს თავისუფალი ან თითქმის თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობა ყველა მეზობელ ქვეყანასთან, რისი მეშვეობითაც, 2013 წელს ექსპორტი გაიზარდა 22.4%-ით და 2.9 მილიარდ დოლარზე მეტი შეადგინა, ხოლო 2014 წლის პირველი ექვსი თვის განმავლობაში ექსპორტი 15%-ით გაიზარდა. ირაკლი ღარიბაშვილმა უცხოელ ბიზნესლიდერებს ასევე მიაწოდა ინფორმაცია საქართველოს საპარტნიორო და თანაინვესტირების ფონდების შესახებ და მთავრობის მიზნებზე ისაუბრა. „ჩვენი მთავრობის მთავარი მიზნებია - მაკროეკონომიკური სტაბილურობა; ღია და სამართლიანი კონკურენცია ბაზარზე; საკუთრებისა და ინტელექტუალური საკუთრების შესაბამისი დაცვა; დამოუკიდებელი მართლმსაჯულების სისტემის ხელმისაწვდომობა; ეფექტიანი ფინანსური სისტემები; სტაბილური, პროგნოზირებადი და გამჭვირვალე საკანონმდებლო გარემო. თქვენთვის და პოტენციური ინვესტორებისთვის საქართველოში ინვესტირება ისევე უსაფრთხო იქნება, როგორც ევროპის ნებისმიერ ქვეყანაში. განსხვავება კი მხოლოდ დაბალ ტარიფებსა და გადასახადებში, მარეგულირებელი წესების სიმკაცრესა და, რასაკვირველია, თქვენი ამონაგების დიდ მოცულობაშია”, - მიმართა პრემიერ-მინისტრმა საინვესტიციო ფორუმის მონაწილეებს. მთავრობის მეთაურმა ასევე ყურადღება გაამახვილა ტრანსპორტის, წარმოების, სოფლის მეურნეობის, ენერჯეტიკისა და ტურიზმის სფეროში საქართველოს საინვესტიციო პოტენციალზე. პრემიერი ანაკლიაში ახალი ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის საკითხსაც შეეხო, რომელიც ყოველწლიურად 100 მილიონ ტონა ტვირთს მიიღებს და აღნიშნა, რომ პროექტში მონაწილეობის სურვილი 12-მა კონსორციუმმა უკვე გამოთქვა. ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, საქართველო მზად არის, გამოიყენოს თავისი სტრატეგიული მდებარეობა და წვლილი შეიტანოს ისტორიული აბრეშუმის გზის აღდგენაში. მთავრობის მეთაური გამოვიდა ინიციატივით, 2015 წელს შეიქმნას „აბრეშუმის გზის ფორუმი“, რომლის ფარგლებში, საქართველოში ყოველწლიურად, აბრეშუმის გზის მომავლით დაინტერესებული სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მაღალი დონის შეხვედრები გაიმართება.

of the Government, Georgia enjoys free or near-free trade with all its neighbors, building on these relationships, exports increased by 22.4% to over \$2.9 billion in 2013, this growth continued in 2014 with a 15% year-to-year increase in exports in the first half of the year. Irakli Garibashvili also provided information to the foreign business leaders on Georgian Partnership and Co-investment Funds and emphasized the government goals. „The top goals of our government are - macroeconomic stability; open and fair competition in the market; proper protection of property and intellectual rights; freedom of access to an independent judicial system; effective financial systems; a stable, predictable and transparent legislative environment. For you and potential investors, investing in Georgia is as safe as investing in any country in Europe, except that your costs and taxes will be lower, there will be fewer regulatory burdens, and your returns will be higher”, - told the Prime Minister to the Investment Forum participants. The Head of the Government highlighted investment potential of Georgia in the sectors of transportation, manufacturing, agriculture, energy and tourism. The Prime Minister touched upon the issue of construction a new deep-sea port in Anaklia, which will be able to handle 100 million tons of cargo per year and noted that 12 consortiums from around the world had already expressed the interest in the project. According to Irakli Garibashvili’s statement, Georgia is ready to use its strategic location and contribute to revitalization of the historic Silk Road. The head of the Government out forward an initiative to establish “Silk Road Forum” in 2015, within the framework of which an annual high-level meeting of all states and international organizations interested in the future of the Silk Road will be launched.

შეხვედრა ADB-ის ვიცე-პრეზიდენტთან

Meeting with the ADB Vice-President



საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი აზიის განვითარების ბანკის ვიცე-პრეზიდენტს ვენჩაი ჟანგს შეხვდა. პრემიერმა აზიის განვითარების ბანკს მადლობა გადაუხადა თბილისში საერთაშორისო საინვესტიციო ფორუმის ორგანიზებისთვის, რომლის ფარგლებში 100-ზე მეტი მაღალი რანგის სტუმარი სხვადასხვა ქვეყნიდან, საქართველოს საინვესტიციო შესაძლებლობებს გაეცნო. ფორუმის მონაწილე ბიზნესმენები

Prime-Minister of Georgia met Asian development Bank Vice-President Wencai Zhang. The Prime-Minister thanked the Asian Development Bank for the organizing of the International Investment Forum in Tbilisi, in the framework of which


კონკრეტული საინვესტიციო პროექტებითაც დაინტერესდნენ. ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, საქართველო მზად არის, გამოიყენოს თავისი სტრატეგიული მდებარეობა და იყოს რეგიონული ცენტრი და კარიბჭე აზიასა და ევროპას შორის. როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება ზრდის საქართველოს მიმზიდველობას და ქმნის ახალ საინვესტიციო შესაძლებლობებს ბიზნესისთვის. საუბარი ასევე შეეხო აზიის განვითარების ბანკის მხარდაჭერის მნიშვნელობას გზების, მუნიციპალური, ურბანული, წყლისა და ენერჯეტიკის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიმართულებით. "ძალიან შთამბეჭდავად ხორციელდება ის პროექტები, რომელიც საქართველოში აზიის განვითარების ბანკის მხარდაჭერით მიმდინარეობს. პრემიერ-მინისტრთან შეხვედრისას ჩვენ ვისაუბრეთ, როგორ გავაძლიეროთ საქართველოს მხარდაჭერა მთელი რიგი მიმართულებებით, მათ შორისაა - სესხის გაცემის პოლიტიკა რესურსების მობილიზაციისთვის, კაპიტალური ბაზრის განვითარება და საპენსიო რეფორმა, საჯარო ფინანსები, გზები, წყალმომარაგება, ტრანსპორტი და ლოგისტიკა", - განაცხადა აზიის განვითარების ბანკის ვიცე-პრეზიდენტმა. შეხვედრას დაესწრნენ აზიის განვითარების ბანკის მუდმივი წარმომადგენელი საქართველოში ქეთი ჯულიანი, აზიის განვითარების ბანკის ვიცე-პრეზიდენტის უფროსი მრჩეველი უიფინგ ჰუანგი, აზიის განვითარების ბანკის ეკონომისტი ლიცა ვავაკისი, ხოლო საქართველოს მხრიდან - ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი, ვიცე-პრემიერი გიორგი კვიციანი, საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანაშემწე ეკონომიკურ საკითხებში, ეკონომიკური საბჭოს მდივანი რომან ჩხენკელი და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე ქეთევან ბოჭორიშვილი.

საქართველოდან ჩინეთში ექსპორტი 68%-ით გაიზარდა

საქართველო ჩინური ბიზნეს სექტორისთვის სულ უფრო საინტერესო და პერსპექტიული ხდება. ამის შესახებ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ქალაქ ჩენგდუში, საქართველო-ჩინეთის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის მთავრობათა შორის კომისიის რიგით მერ სხდომაზე ისაუბრეს. 2014 წლის 6 თვის მონაცემებით, ქვეყნებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური სტატისტიკური მანველებების მიხედვით სავაჭრო ბრუნვამ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან 380 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 26%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიური პერიოდის მანველებებს. ჩინეთი საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორებს შორის მე-3 ადგილზეა. ამავე პერიოდის მონაცემებით, საქართველოდან ჩინეთში ექსპორტი 68%-ით, იმპორტი კი 23%-ით გაიზარდა. კომისიის სხდომა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კომერციის მინისტრის მოადგილემ, გაო იენმა გახსნა. მან ხაზი გაუსვა სოფლის მეურნეობის მიმართულებით ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის გაღრმავების მნიშვნელობას. მინისტრის მოადგილის, გაო იენის განცხადებით, ჩინეთის მხარე მზად არის გაზარდოს საქართველოსთვის გამოყოფილი ფინანსური და ტექნიკური დახმარება. სხდომაზე საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ, ნოდარ კერესელიძემ კომისიის წევრებს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ძირითადი მიმართულებებისა და პრიორიტეტების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა. მინისტრის მოადგილემ, დარჯის განვითარების მიმართულებით განხორციელებულ და მიმდინარე პროექტებზეც ისაუბრა. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ჩინეთის მხარე მზადაა ხელი შეუწყოს

more than 100 high-rank guests from different countries learned about the investment opportunities of Georgia. The business men participating in the Forum have been interested in specific investment projects. According to the Prime-Minister, Georgia is ready to use its strategic location and be the regional center and the gateway between Asia and Europe. As it was mentioned, the EU association agreement increases the attractiveness of investment and creates new opportunities for business. Discussions also focused on the importance of support from the Asian Development Bank in roads, municipal, urban, water and energy infrastructure improvement project. "Very impressively are implementing the projects that are being supported by the Asian Development bank. At the meeting with the Prime-Minister we talked about how to strengthen the country's support for a whole range of areas - including loan disbursement policy of resource mobilization, Capital Market Development and Pension Reform, Public Finance, Ways water supply, transport and logistics," - vice-president of the Asian Development Bank stated. The meeting was attended by the Asian Development Bank Permanent Representative in Georgia, Kathy Julian, the Asian Development Bank Vice President, Senior Advisor Youping Huang, the Asian Development Bank economist Litsa Vavakis, and from Georgian side - Economy and Sustainable Development Minister, Vice Prime-Minister Giorgi Kvirikashvili, the Prime Minister's Assistant in economic issues, economic Secretary to the Board Roman Chkhenkeli and the Ministry of Economy and Sustainable Development Deputy Minister Ketevan Bochorishvili.

Export from Georgia to China Grew by 68%



Georgia is becoming more interesting and promising for Chinese business - this was said at the Georgian-Chinese Business Forum in Chengdum. As per the data for 6 months of 2014, the trade turnover between Georgia and China reached USD380 million which is 26% more than in the same period of 2013. China is ranked third in the list of the largest trade partners of Georgia, while exports from Georgia to China grew by 68%, imports from China to Georgia by 23%. According to

ჩინეთის ბაზარზე ქართული ღვინის ცნობადობის ამაღლებას, პოპულარიზაციას და საიმპორტო მოცულობის ზრდას. ვიზიტის ფარგლებში ნოდარ კერესელიძემ ხელი მოაწერა დოკუმენტს, რომლის მიხედვითაც საქართველოს მხარეს უახლოეს მომავალში გადმოეცემა 10 მლნ აშშ დოლარის ღირებულების 26 სხვადასხვა დასახელების 225 ერთეული სამელიორაციო-საირიგაციო ტექნიკა. „სხდომაზე სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის საკითხი გამოყოფილი იქნა როგორც პრიორიტეტული მიმართულება. ჩინურმა მხარემ გამოთქვა მზადყოფნა, რომ საქართველოსთან ამ მიმართულებით თანამშრომლობა გააქტიურდეს-გაიზარდოს ინვესტიციები, დაინერგოს თანამედროვე ტექნოლოგიები და სხვა. აღსანიშნავია, რომ კომისიის სხდომის ფარგლებში ხელი მოეწერა დოკუმენტს, რაც ითვალისწინებს ჩინეთის მხარის მიერ საქართველოსათვის ჩინური სამშენებლო ტექნიკის უსასყიდლოდ გადაცემას“, - განაცხადა ნოდარ კერესელიძემ. საქართველო-ჩინეთის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის მთავრობათაშორის კომისიის რიგით მე-6 სხდომაზე მხარეებმა საქართველოსა და ჩინეთს შორის საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების ძირითადი მიმართულებები და ორ ქვეყანას შორის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები განიხილეს. აღინიშნა, რომ მოხდება ორი ქვეყნის სამეურნეო სუბიექტებს შორის მჭიდრო ურთიერთობების დამყარების ხელშეწყობა, რაც საქართველოში ჩინური ინვესტიციების მოცულობის ზრდის საწინდარი იქნება. კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ თანამშრომლობა გაღრმავდება ისეთი მიმართულებებით, როგორცაა სოფლის მეურნეობა, ინფრასტრუქტურა, ტურიზმი, ენერჯეტიკა, საინფორმაციო ტექნოლოგიები და სხვა.

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი ტურისტული სააგენტოების აკრედიტაციის შემოღების ინიციატივით გამოდის

აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე მამუკა ბერძენიშვილი, ტურისტული სააგენტოების აკრედიტაციის აუცილებლობაზე საუბრობს. მისი განცხადებით, აჭარაში სულ დაახლოებით 30 ტურისტული სააგენტოა და დეპარტამენტის საბჭოს წარმომადგენლები თითოეულ მათგანთან პრობლემური საკითხების განხილვას ახორციელებენ. „ნათელია, რომ არსებობს დარღვევები, რასაც სახელმწიფომ უნდა გადახედოს. მაგალითად, დაფიქსირდა პრობლემები ზაფხულის განმავლობაში, ერთ-ერთი კვალიფიციური კადრების სიმცირეა. გადაწყვეტილებამ არც კერძო სექტორი და არც სახელმწიფო არ უნდა დააზარალოს. დროა იმისა, რომ საკანონმდებლო რეგულაციებში მსგავსი ცვლილებების შეტანაზე დაუფიქრდეთ“, - განმარტა მამუკა ბერძენიშვილი. როგორც აჭარის ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე აღნიშნა, წლის განმავლობაში ტურისტულ სააგენტოებს კიდევ რამდენჯერმე შეხვედებიან და კერძო სექტორსა და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის შეამავლის როლს შეასრულებენ, პრობლემის გადაწყვეტილებაზე იმუშავენ, რომელიც შემდეგ შესაბამის ორგანოებთან რეკომენდაციის სახით გაიცემა. ტურისტული კომპანიების ნაწილი აკრედიტაციის საკითხს უნდობლად უყურებს. მათი აზრით, ამან შესაძლოა პროცესი მიკერძოებული გახადოს. „თუ ეს იქნება სამართლიანი გადაწყვეტილება და შერჩევა სხვა ინტერესებიდან გამომდინარე არ მოხდება, მაშინ მხარს დაგუჭერ, რისიც მე არ მჯერა. ჩვენ ქართულ ბაზარზე 5 წლის წინ შემოვედით და მხოლოდ გარე ტურებზე ვიმუშაობთ. სამომავლოდ ვაპირებთ შიდა ტურებზე დავიწყოთ, რასაც მხოლოდ აკრედიტაციის მინიჭების შემდეგ გავაკეთებთ, ენახოთ რა მოხდება“, -

Vice Minister of Commerce of China, the countries are interested in developing cooperation in the field of agriculture, in addition, the official Beijing intends to increase financial and technical assistance to Georgia. During the Forum, it was stressed that China would increase exports of Georgian wine to the country, to increase its popularity and recognition. Deputy Minister of Agriculture of Georgia Nodar Kereselidze signed an agreement providing for the transfer of 225 units of irrigation equipment worth 10 million to the country. “Agriculture has been identified as a priority. The Chinese side expressed its readiness to intensify cooperation with Georgia in this direction, to increase investment, to introduce advanced technology, etc. It should be noted that during the Forum an agreement was signed on the transfer of Chinese agricultural equipment to Georgia “- said the Deputy Minister. The issues related to the main directions of foreign economic relations between the two countries and prospects of their further development were also discussed at the Forum. It was also noted that the close cooperation between the two companies will contribute to the growth of Chinese investment in Georgia - mainly in agriculture, infrastructure, tourism, energy, information technology, etc.

Tourism Department of Ajara Proposes to Introduce Accreditation System for Tour Operators



Deputy Head of the Tourism Department of Ajara Mamuka Berdzenishvili states about the need to introduce the accreditation system for travel agencies.

According to him, 30 travel agencies are operating in the region of Ajara and the negotiations are underway to resolve their problems. “Obviously, there are violations, and the government should pay attention to them. For example, there is a shortage of qualified personnel, especially in summer, when many tourists come. Therefore, we should adopt a solution that will harm neither the state nor the private sector. It is time to introduce some regulations in respect of the tourism business, “- said he. In his words, during the year several meetings with tour operators will be held and the Tourism Department of the region will take on the role of mediator between the private sector and the central government. It is also planned to develop a series of recommendations to address the problems. Some tour operators have a negative attitude to the introduction of the accreditation system, as they believe that it can be biased. If decisions are taken objectively, without any other interests, then fine, but at I do not believe in such a prospect. We has been operating on the Georgian market for 5 years, and mainly

აცხადებს ტურისტული კომპანია „თი ერ ტრეველის“ დირექტორი ეკა ლილუაშვილი. ტურისტულ კომპანიებისათვის აკრედიტაციის მინიჭებას ემხრობა „მედია ტრეველის“ გენერალური დირექტორი ირაკლი გოგორიშვილიც. მისი აზრით, ეს კომპანიებს სტაბილურ შემოსავალს მოუტანს. „ ძალიან ბევრი კომპანია მინიმალურ სტანდარტებსაც ვერ აკმაყოფილებს. მიუხედავად ამისა, უნდა მოხდეს აკრედიტაციის მინიჭება. ასევე საჭიროა ამოქმედდეს ვაუჩერის პრინციპი, ანუ ჯავშნისა და მოწვევის მსგავსი დაინერგოს და ეს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ უნდა იყოს დამოწმებული. ტურისტულმა კომპანიებმა აკრედიტაცია რომ გაიარონ უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ პირობებს: კარგად უნდა იცნობდნენ ბაზარს, ამისთვის მინიმუმ 3 წლიანი გამოცდილება საჭირო, აუცილებელია ჰქონდეთ ოფისი, საიტი, სერვისის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს საერთაშორისო სტანდარტებს, რასაც ძალიან ბევრი ვერ ასრულებს“.

- აცხადებს ტურისტული კომპანია „მედია ტრეველის“ დირექტორი ირაკლი გოგორიშვილი.

თურქი ბიზნესმენები საქართველოს საინვესტიციო პოტენციალს გაეცნენ

sent tourists from Georgia abroad, but we plan to launch a domestic tourism as well. It is unclear how we'll do it, if a decision on accreditation is made, “- Director of the tourist company TR - Travel Eka Liluashvili notes. However, there are other opinions. For example, Director of Media Travel Irakli Gogorishvili agrees with the need to introduce such a rule, since, in his opinion, it will bring stability to the tourist market of Georgia. “A lot of companies do not meet even the minimum standards. Therefore, it is necessary to introduce the accreditation system. To get it, a travel company should know the market, have 3 years of experience, must have office, a website, service quality must conform to international standards. Many companies in Georgia cannot meet any of these conditions, “- the head of the company adds.

Turkish businessmen were getting acquainted with investment potential of Georgia



2014 წლის 31 ოქტომბერს საქართველოს საერთაშორისო ინვესტორთა ასოციაციის ოფისში გაიმართა შეხვედრა, შეხვედრაზე ძირითადად საუბარი შეეხო ჰიდროელექტრო სადგურების მშენებლობას, სამშენებლო და ტურისტული ბიზნესის განვითარებას - თურქეთის ქალაქ გაზიანტეპის ბიზნესმენთა ასოციაციის წევრები საქართველოს საინვესტიციო პოტენციალს გაეცნენ. რეგიონის შესახებ ინფორმაცია დელეგაციის წევრებს საქართველოს საერთაშორისო ინვესტორთა ასოციაციის გენერალურმა მდივანმა ოსმან ჩალიშქანმა მიაწოდა. ინვესტორები აჭარაში ჰიდროელექტრო სადგურების მშენებლობით არიან დაინტერესებული.



On 31st of October, 2014, At the office of International Investors Association of Georgia was held the meeting, the main topics of this meeting was the construction of Hydro power plants, construction and the development of tourism business in Georgia - members of Businessmen Association of Turkey city Gaziantep were getting acquainted with investment potential of Georgia. Members of the delegation were informed about region by the Secretary General of International Investors Association of Georgia Mr. Osman Chalishkan. Investors are interested in construction of hydropower stations in Ajara.

საქველმოქმედო აქცია - “საერთაშორისო ინვესტორთა ასოციაცია” 10-წევრიან ოჯახს დაეხმარა

Charity action- “International Investors Association” helped 10-member family



2014 წლის 28 ოქტომბერს მორიგი საქველმოქმედო აქცია სოფელ კვირიკეში გაიმართა. 10-წევრიან ოჯახს “საერთაშორისო ინვესტორთა ასოციაცია” სურსათით დაეხმარა. იგანაძეების მრავალშვილიან ოჯახს პროდუქტი საერთაშორისო ინვესტორთა ასოციაციის გენერალურმა მდივანმა ოსმან მუჰავანაძემ და ჯანდაცვის მინისტრის მოადგილემ მიუტანეს. სოციალურად დაუცველი ოჯახები ჯანდაცვის სამინისტრომ შეარჩია. საქველმოქმედო აქციაში პირველ ეტაპზე 14 ოჯახი ჩაერთოება.



On October 28, 2014 was held one more Charity action in Kvirike village. International Investors Association of Georgia has transferred food to 10 member family. The Secretary General of International Investors Association Mr. Osman Mzhavanadze and Deputy Health Care Minister has brought products to Ivanadze family which has many children. Health Care Ministry has selected the socially unprotected families. 14 families were selected at the first stage.

**საქართველო, ბათუმი, 6010, ბაკოს ქ. 50
ბელ. +995 (422) 27 49 70
www.iia.ge**

**6010, 50 Baku str. Batumi, Georgia
Tel: +995 (422) 27 49 70
Info@iia.ge**